ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 33

ქ. თბილისი 28.12.2020წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ქეთევან ბრაგვაძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, NAT200018634 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 სასამართლო სისტემაში ჩასატარებელ ღონისძიებების მონაწილეთა კვებითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV55300000).
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია მენიუ (დანართი N1 (ფასების ცხრილი)) და დანართი N2-ში (ტექნიკური პირობა) რომელიც ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 15`900 (თხუთმეტიათას ცხრაასი) ლარს.
4.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
4.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს უფროსი - მადონა ბერიაშვილი

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
6.2. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მიწოდების ადგილის შესაბამისად: სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს უფროსი - მადონა ბერიაშვილი ან შესაბამისი სასამართლოს/სხვა ობიექტის მენეჯერი

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, დრო, ადგილი

7.1 მიწოდების ვადა: კვებითი მომსახურება უნდა განხორციელდეს 2021 წლის 25 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ოდენობითა და პერიოდულობით, შემსყიდველის მოთხოვნიდან 1 სამუშაო დღეში.

7.2 მომსახურების ტერიტორია: თბილისი და აღმოსავლეთი საქართველო.

7.3 თბილისსა და რუსთავში მომსახურებას არ დაემატება ტრანსპორტირების ხარჯი.

7.4 თბილისიდან 30კმ-ზე მეტად დაშორებულ პუნქტს დაემატება ტრანსპორტირების ხარჯი კილომეტრზე 0.5 ლარის ოდენობით.

7.5 მომსახურების პირობები : ტექნიკური პირობების შესაბამისად (დანართიN2).

8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

8.3 ანგარიშსწორების წესი: ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, თითოეულ ეტაპზე მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 სამუშაო დღეში.

8.4. დაფინანსების წყარო: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;

9.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

11.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.;

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისი შეკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების განმეორების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,5 %-ის ოდენობით.
12.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6 ს/კ 203860642	ი/მ. ქეთევან ბრაგვაძე მის: გურჯაანი, რუსთაველის 11 ლიბერთი ბანკი ს/ნ 13001010722 კოდი:LBRTGE22 ა/ა:GE55LB0112114035025000
გიორგი კაკაურიძე თავმჯდომარის მოადგილე	ქეთევან ბრაგვაძე ი/მ

დანართი N2

ტექნიკური პირობა

მონაწილეთა რაოდენობა, ადგილი, დრო და შესაბამისად მისაწოდებელი საკვების რაოდენობა, თანმდევი მომსახურებით განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. შემსყიდველი უფლებამოსილია შეარჩიოს განსხვავებული მენიუ, კერძების ერთეულის შემოთავაზებული ღირებულების მიხედვით.
კონკრეტულ დღეს პერსონათა რაოდენობა, შესაბამისად მისაწოდებელი საკვების დაზუსტებული რაოდენობა და მიწოდების განრიგი დამატებით ეცნობება ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელს არაუგვიანეს 1 სამუშაო დღით ადრე.
საკვები დამზადებული უნდა იყოს შემსყიდველისთვის და უნდა იყოს ახალი. საკვების მომზადების და მიწოდების (მათ შორის ტრანსპორტირებისა და სერვირებისას) დროს მიმწოდებელი ვალდებულია მკაცრად დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური, შენახვის და სხვა ნორმები. დაცული უნდა იყოს საკვების როგორც ვიზუალური, ასევე გემოვნებითი მხარე.
მომსახურება ასევე მოიცავს შესაბამისი რაოდენობის დამხმარე პროდუქტებს, როგორებიცაა: მარილი, პილპილი, საწებელი და სხვა. საკვების მიწოდებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი უზრუნველყოს: ჭურჭლით, ხელსახოცებით, მაგიდის გადასაფარებლებით. ჭურჭელი უნდა იყოს ერთნაირი, ხარვეზის გარეშე, შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით მრავალჯერადი ან ერთჯერადი მოხმარების: დაუშვებელია გატეხილი, გაბზარული ჭურჭლის ან სხვა მიზეზით არასათანადო ვიზუალურ და ჰიგიენურ მდგომარეობაში მყოფი ჭურჭლის გამოყენება; ერთჯერადი ჭურჭლით მომსახურებისას (თეფში, ჭიქა, კოვზი, ჩანგალი, დანა) გამოყენებული უნდა იყოს მყარი ფაქტურის (მუყაო, პლასტიკი) ნივთები.
მიმწოდებლის წარმომადგენლებს, რომლებიც განახორციელებენ დამხმარე მომსახურებას, უნდა ეცვათ შესაბამისი უნიფორმა.
თბილისსა და რუსთავში მომსახურებას არ დაემატება ტრანსპორტირების ხარჯი.
თბილისიდან 30კმ-ზე მეტად დაშორებულ პუნქტს დაემატება ტრანსპორტირების ხარჯი კილომეტრზე 0.5 ლარის ოდენობით.

მენიუ №1 ხელშეკრულების მანძილზე სავარაუდოდ 500 პერსონისთვის			
დასახელება	**საკვების რაოდენობა 1 პერსონაზე**	**ერთეულის ფასი**	**500 პერსონისთვის**
ყავა/ჩაი	200გრ	1.5	750
ნატურალური წვენი (სხვადასხვა სახეობის)	200გრ	1.2	600
ტარტალეტკა	75გრ	1.2	600
ეკლერი და შუ	75გრ	1.5	750
ნამცხვარი მიმწოდებლის შერჩევით	75გრ	1.5	750
		სულ	3450

მენიუ №2 (ხელშეკრულების მანძილზე სავარაუდოდ 500 პერსონისთვის			
დასახელება	**საკვების რაოდენობა 1 პერსონაზე**	**ერთეულის ფასი**	**500 პერსონისთვის**
ხაჭაპური და ლობიანი	50გრ	1	500
სენდვიჩი ლორით	50გრ	1.2	600
ხიზილალას ბუტერბროდი (ხიზილალა 2-2,5 გრ)	50გრ	1.8	900
ქაბაბი ლავაშში	80გრ	1.5	750
საზაფხულო სალათი	50გრ	1	500
ფხალის ასორტი	50გრ	1	500
ქათმის სალათი	50გრ	1	500
კანაპე ლორით	50გრ	1	500
კანაპე თევზით	20გრ	1.8	900
კანაპე ყველით	20გრ	1.5	750
ბლინი	80გრ	0.8	400
მწვადი	120გრ	1.5	750
ტარტალეტკა	75გრ	1	500
ეკლერი და შუ	75გრ	0.8	400
ნამცხვარი მიმწოდებლის შერჩევით	75გრ	1	500
ღვინო (თეთრი)	100გრ	1.4	700
ღვინო (წითელი)	100გრ	1.4	700
ნატურალური წვენი	200გრ	1.2	600
ხილის ასორტი	150გრ	1	500
ყავა/ჩაი	200გრ	1.2	600

12050

ტრანსპორტირება	400

მენიუ 1, მენიუ 2 და ტრანსპორტირების* საერთო ჯამი	15900